„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ეროვნული გზამკვლევისადმი მიძღვნილი მესამე პლენარული შეხვედრა

ცირკულარული ეკონომიკა ეკონომიკური განვითარებისადმი სისტემური მიდგომაა, რომელსაც სარგებელი როგორც ბიზნესისთვის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსთვის მოაქვს. წრფივი „აიღე-დაამზადე-გადააგდე“ მოდელისაგან განსხვავებით, ცირკულარული ეკონომიკა, თავისი არსით, აღდგენითი ხასიათისაა და მისი მიზანია განვითარება სასრული რესურსების მოხმარებისაგან თანდათანობით გამიჯნოს. ეს ეკონომიკური კონცეფცია აგებულია ნარჩენებისა და დაბინძურების აღმოფხვრის, საქონლისა და ნედლეულის სარგებლობაში შენარჩუნებისა და ბუნებრივი სისტემების აღდგენის პრინციპებზე, რის გამოც მას ხშირად მდგრადი განვითარების მიზნებისა და მწვანე ეკონომიკას უკავშირებენ.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან, სისტემურ ცვლილებას საჭიროებს, რა დროსაც სისტემის რამდენიმე კომპონენტი ერთდროულად უნდა შეიცვალოს. აღნიშნული მოიცავს ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კარგად გამართული, არადამამახინჯებელი პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემოღებას, რომელიც ცირკულარული ეკონომიკის ინიციატივებს ბარიერებს მოუხსნის და ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელებისათვის თანაბარ პირობებს უზრუნველყოფს.

საქართველომ ძირითად ამოცანად დაისახა „სასიცოცხლო ციკლის დასრულების“ კონცეფციის ჩანაცვლება ჩაკეტილი ციკლის ეკონომიკური სისტემით. ამ ამოცანის გადასაჭრელად 2018 წელში საქართველოში „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) კონცეფცია ამოქმედდა, რითაც ქვეყანა ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებულ გზას დაადგა. ამას მოჰყვა საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასება 2020-2022 წლებში. ცირკულარობის შეფასება წარმატებით განხორციელდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“ (სბმკ „ორქისი“) მიერ, საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. საქართველოს მთავრობას წარმოადგენდა უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც სხვადასხვა სამინისტროებსა და სამთავრობო უწყებებში მომუშავე 36 ექსპერტი შედის. მას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი ხელმძღვანელობს. შეფასების პროცესის შედეგად მომზადდა მონოგრაფია „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასება - 2022 წელი“, რომელშიც დეტალურადაა გაანალიზებული ეკონომიკის 14 პრიორიტეტული დარგი, განსაზღვრულია ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული პოლიტიკისთვის რეკომენდირებული რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლები და ცირკულარობის მიზნები, გამოვლენილია დარგობრივი შესაძლებლობები, შემუშავებულია დარგობრივი პოლიტიკის ვარიანტები, წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევისა და სტრატეგიის თაობაზე.

გზამკვლევის შემუშავებას კოორდინაციას საქართველოს მთავრობა უწევს, ხოლო მას სბმკ „ორქისი“, შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში ახორციელებს. ამ პროცესის საკვანძო დაინტერესებულ მხარეებს განეკუთვნებიან

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც მასში კოორდინატორის როლი აკისრია და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საქართველოს მთავრობის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოსა და სბმკ „ორქისი"-ს ექსპერტებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად ოთხი პლენარული შეხვედრა და ერთი ეროვნული შეხვედრაა დაგეგმილი. მესამე პლენარული შეხვედრა 2024 წლის 14 მარტს გაიმართება. მისი მიზანია უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრებს განსახილველად წარვუდგინოთ ცირკულარულ ეკონომიკაზე წარმატებით გადასვლისათვის საჭირო პრიორიტეტული ქმედებები, ასევე ფინანსური და არაფინანსური პოლიტიკის რეკომენდაციები, რომლებიც გაწერილია ორი დროითი ჰორიზონტისთვის - 2030 და 2050 წლებისათვის. ამაზე წინ წარმოდგენილი იქნება ცირკულარობის ხარვეზებზე 2024 წლის ანგარიშის ძირითადი მიგნებები, რადგანც ამ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები დიდ თანხვედრაშია საქართველოში მოსალოდნელ ქმედებებთან.

გზამკვლევის შემუშავება შემდეგი თანმიმდევრული ქმედებების მეშვეობით მოხდება:

- მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- პრიორიტეტული ეკონომიკური დარგებისა და კლასტერების განსაზღვრა;
- სათანადო ინსტრუმენტების შერჩევა (კანონები; რეგლამენტები; პოლიტიკა; შესყიდვების პროცედურები; ანგარიშვალებულების სტანდარტები; საქონლითა და მომსახურებით საზიარო სარგებლობის პლატფორმების შექმნა და მხარდაჭერა; შესაძლებლობების გაძლიერების პროექტები და საგანმანათლებლო პროგრამები; და სხვა);
- გზამკვლევის ჩარჩოს შემუშავება პრიორიტეტული კლასტერებისა და დარგების მიხედვით (ცხრილები: კლასტერები - ეკონომიკის დარგები - პრიორიტეტული მიზნები - ინსტრუმენტების ნაკრები - წამყვანი მხარდამჭერები - ბენეფიციარები - დაფინანსების წყაროები);
- ქმედებების სტრუქტურა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმების შესაბამისად.

ცირკულარობის გზამკვლევის შემუშავებასთან ერთად, აღნიშნული ქვეპროექტი ითვალისწინებს საკვანძო დაინტერესებული მხარეების, მათ შორის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სხვა უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში, რათა ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევის მზადებისა და განხორციელების პროცესებში მათ ინფორმირებული მონაწილეობა შეეძლოთ.

ქვეპროექტს უძღვებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი და ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტი, სბმკ „ორქისი"-ს გუნდის ხელმძღვანელი დოქტორი დარიუშ პრასეკი, რომელთაც ეხმარება საქართველოს ეკონომიკის, მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხებში ღრმად ჩახედული ადგილობრივი ექსპერტების გუნდი.